ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

39 (10077) 6 oqtomberi • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ირაკლი ღარიბაშვილი სტიქიის ზონაში იმყოფებოდა

გაზეთი „ალიონი“

სოფ.შემოქმედში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იმყოფებოდა, სადაც ამჟამად წყალდიდობისას მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები მიმდინარეობს. თავდაპირველად პრემიერი სამინისტროებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მდინარე ბჟუჟის ხეობის გასწვრივ აღდგენით სამუშაოებს გაეცნო, ხოლო შემდეგ სოფლის ცენტრს ზემოთ წყალდიდობისას დაზარალებული ნატო გუდავაძის სახლი მოინახულა. მან ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა:

–„ჩვენ ჩვენი საქმე გამოგვაჩენს, მოსახლეობას აუცილებლად დავეხმარებით. მინდოდა ჩემი თვალით მენახა, რაც მოხდა გურიის რეგიონში და ასევე აჭარაში. მინდა აღვნიშნო კიდევ ერთხელ შტაბის ადგილობრივი მთავრობის, ოზურგეთის გამგებლის ეფექტური მუშაობა. ისინი 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ და არცერთი ოჯახი არ დარჩა ყურადღების გარეშე, ეს არის აღნიშვნის ღირსი. ზარალი იქნება დათვლილი და ყველა ოჯახი, რომელსაც რაიმე სახის ზიანი მიადგა, ამის კომპენსირება მოხდება. სახელმწიფო გამოყოფს ამის თანხებს.

დღეს დილით ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის 6 მილიონი ლარი გამოვყავით და ამის გარდა თუ სადმე, რომელიმე ოჯახი დაზიანდა და ზარალი მიადგა, რა თქმა უნდა მათაც დავეხმარებით. გასულ წელს 48 მილიონი ლარი გამოვყავით კომპენსირებისთვის და წელს 40 მილიონი ლარის ოდენობით მოხდება კომპენსაციების დარიგება", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მანვე თქვა, რომ დასავლეთ საქართველოში შექმნილია შტაბი და პრემიერის წარმომადგენელი მინდია ჯანელიძე უწევს კოორდინაციას იმ სამუშაოებს, რომელიც ამჟამად გურიაში მიმდინარეობს.

alion. ge 30. 09 2014

გურიაში სტიქია ისევ განმეორდა

გაზეთი „ალიონი“

28 სექტემბერს ღამით მოსულმა კოკისპირულმა წვიმამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო.დაიტბორა საცხოვრებელი სახლები,ეზოები. ადიდებულმა მდინარეებმა ჯებირი გადმოხეთქა და მოსახლეობის ეზოები დატბორა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა აღმაშენებლის, თავისუფლების, გრიშაშვილის, თაყაიშვილის, მოსკოვის, მეგრელიძის, ბაქრაძის, ჯავახიშვილის, ერისთავის და სახოკიას ქუჩებზე. ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში: შემოქმედში, ცხემლიხიდში, ბოხვაურში, ნატანებში, დვაბზუში... ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის თემის გამგეობა გუშინდელი დღიდან საგანგებო რეჟიმში მუშაობს,როგორც ქალაქ ოზურგეთის მერმა **ბეგლარ სიორიძემ** საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა:"დღევანდელი დღე იყო ყველაზე რთული დღე ჩემი მერობის პერიოდში"...ბეგლარ სიორიძემ დღეს ყველა დაზარალებული ოჯახი მოინახულა.სტიქიასთან დაკავშირებით ოზურგეთში საგანგებო ვიზიტით იმყოფებოდნენ; რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტუქტურის მინისტრი **დავით შავლიაშვილი**, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსი **ვაჟა ფანჩულიძე**,სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი **მინდია ჯანელიძე**.ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან სტიქიის შედეგების შესწავლისა და სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით. შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: **ბეგლარ სიორიძე, ალეკო ბურჭულაძე, მერაბ წივწივაძე, მარიკა ნაცვალაძე, გელა სარიშვილი, ავთანდილ ფიფია, გოჩა ჯინჭარაძე, ვარდენ რუსიეშვილი**. ჯგუფი ადგილზე გასვლით შეადგენს ვიზუალური დათვალიერების აქტს და დაითვლის ზარალს.ქალაქის მერია კვლავაც საგანგებო რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დაუკავშირდეთ ქალაქის მერიას შემდეგ ტელეფონზე 558 209191 საკონტაქტო პირია -ანი მდინარაძე. ოზურგეთში ამჟამადაც წვიმს. როგორც კი წვიმა შეწყდება მოსახლეობაში ზარალის ანაზღაურება დაიწყება.რაც შეეხება სასმელ წყალს და ელექტროენერგიას იგი ჩვენს ქალაქს შეუფერხებლად მიეწოდება.

alion.ge 29. 09.2014

პროფესიული სახელდების დღეს გილოცავთ!

გაზეთი „ალიონი“

„ეს თქვენ ხართ – მოფუსფუსე, უსაზღვროდ მშრომელი, პასუხისმგებლობით აღსავსე და ზოგჯერ თქვენს შესაძლებლობებზე აღმატებული ტვირთის მატარებელი!

უკვე ათეული წლებია ერთგულად და თავდაუზოგავად ემსახურებით ახალგაზრდების აღზრდას და თქვენს წარუშლელ კვალს ტოვებთ მათ ცნობიერებაზე!

ფასდაუდებელია თქვენი ღვაწლი თაობების წინაშე!

მჯერა, თქვენ კიდევ დიდხანს იდგებით ჩვენს გვერდით, მოგვცემთ რჩევებსა და გვიეგრეგულებთ!“

ასე ეწერა ღვაწლმოსილ პედაგოგებისადმი მიძღვნილ მიმართვაში, რომელსაც ხელს ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი **ლელა იმედაშვილი** აწერდა.

ოზურგეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში ის ღვაწლმოსილი პედაგოგები შეიკრიბნენ, რომელთა მუშაობის სტაჟი 50 წელს შეადგენდა.

ლელა იმედაშვილის მისალოცი გამოსვლის შემდეგ, პედაგოგებს მიესალმნენ: ქ. ოზურგეთის მერი **ბეგლარ სიორიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი **მერაბ ჭანუყვაძე,** ქ. ოზურგეთის მერიის კულტურის სამსახურის უფროსი **მარინა ჯაფარიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის უფროსი **ხათუნა სურგულაძე,** განათლებისა და მეცნიერთა პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **როზა გოგუაძე,** საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს

▶▶▶ გვ-2

როგორ აფასებს ალეკო ელისაშვილი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და რა მაგალითის მიცემას ფიქრობს კოლეგებისთვის

ნინო ნიკოლაიშვილი

როგორ აფასებს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, რა სტერეოტიპისა და დამოკიდებულების შეცვლას ფიქრობს და რატომ თქვა თბილისის მერობის კანდიდატობაზე უარი თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა **ალეკო ელისაშვილმა**, ამ და სხვა საკითხებზე გაზეთ „ალიონის“ მკითხველებს ვთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

– ბატონო ალეკო, ამბობთ, რომ არჩევნებში თქვენს გამარჯვებას წინ უსწრებდა თქვენი გულწრფელი დამოკიდებულება თქვენივე გადაწყვეტილების მიმართ და ასევე დიდი საარჩევნო კამპანია. ფიქრობთ, თუ არა, რომ თქვენს გამარჯვებაში უდიდესი როლი თქვენს ცნობადობას მიუძღვის, ანუ იყავით ცნობილი ტელეჟურნალისტი.

– ბევრი მიფიქრია ამაზე, ჩემს ოპონენტებს დიდი რესურსი გააჩნდათ კამპანიის საწარმოებლად, მე არ მქონდა ფული, მქონდა

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

6 ოქტომბერი	7 ოქტომბერი	8 ოქტომბერი	9 ოქტომბერი	10 ოქტომბერი	11 ოქტომბერი	12 ოქტომბერი
	ჭექა-ქუხილი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი	მზე, ღრუბელი		ძლიერი წვიმა
წვიმა	+13+21	+11+20	+12+22	+12+21	+10+18	+9+18
+11+18						
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა

როგორ აფასებს ალეკო ელისაშვილი დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას და რა მაგალითის მიცემას ფიქრობს კოლეგებისთვის

ცნობადობა, რაც ჩემი ერთ-ერთი კაპიტალი იყო.

— რატომ გადაწყვიტეთ ადგილმონაცვლეობა ჟურნალისტობიდან პოლიტიკაში?

— ჩავთვალე, რომ 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში ჩემი ადგილი აღარ იყო, რადგან ვფიქრობ, დღეს ჟურნალისტი მეტად თავისუფალია, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს. ახლა მინდა შეიცვალოს, დამიკიდებულება პოლიტიკის მიმართ - პოლიტიკა ბინძური საქმეა და საზოგადოებას დავანახვოთ, რომ ამისი შეცვლა შესაძლებელია. შევქმნა თანამედროვე პოლიტიკოსის სახე. ანუ, დეპუტატმა და მაღალჩინოსანმა თავი არ იგრძნოს ფუფუნებასა და პრივილეგირებულ მდგომარეობაში. გააცნობიეროს, რომ ის ჩვეულებრივი მოქალაქეა და სკამზე სწორედ ჩვეულებრივ მოქალაქეთა მხარდაჭერით მოვიდა. არ იაროს ძვირადღირებული სახელმწიფო ავტომანქანებით. ასევე ვიბრძოლო იმისთვის, რომ პოლიტიკა გახდეს საქმიანი და მისგან გავიდეს სიძულვილი, ანუ, შეიცვალოს დამოკიდებულება, თუ ოპოზიციონერი ხარ, არანაირ პროექტს, მათ შორის კარგს, მხარი არ უნდა დაუჭირო და იბრძოლო მისი ჩავარდნისათვის.

— იყო რისკი ვერ გამხდარიყავით დამოუკიდებელი დეპუტატი, გქონდათ შემოთავაზებები პარტიებიდან?

—რა თქმა უნდა მქონდა, მათ შორის ვყოფილიყავი ქართული ოცნების მაჟორიტარი, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან არ მაქვს პარტიაში ყოფნის სურვილი.

— უფრო დიდი შემოთავაზებები გქონდათ?

— მქონდა, ოღონდ ხალხისგან, ვყოფილიყავი მერობის კანდიდატი, გადავიდოდი მეორე ტურში და მეტი შანსიც მექნებოდა. თუმცა ამას მე არც ჩემს თავს ვაკადრებდი და არც თბილისს, რადგან ვთვლი, რომ ამისთვის ჯერ მზად არ ვარ, არ მაქვს იმდენი ცოდნა და გამოცდილება, რაც მერს სჭირდება.

— შეიძლება ამაზე იფიქროთ მომავლისთვის?

— რატომაც არა, თუ ჩავთვლი, რომ ამისთვის მზად ვიქნები.

— როგორ ფიქრობთ თქვენი პროექტების გატანას, როცა აბსოლუტურ უმცირესობაში ხართ.

— არც მასეა საქმე. რამდენიმე პროექტი ჩემი ინიცირებით, ან მხარდაჭერით გავიდა საკრებულოში. ერთ-ერთი იყო ხმაურის რეგულირება საზოგადოებრივ სივრცეში, ასევე რესპუბლიკელებთან ერთად გატანილი პროექტი, პრემიების გაუქმების შესახებ, რამაც ბიუჯეტში 800 000 ლარი დაზოგა. ვმუშაობთ ძველი თბილისის ისტორიული მენეჯმენტის გეგმასა და საკრებულოს კუთვნილებაში არსებული ავტომანქანების მიზნობრივი გამოყენების თემაზე. მანქანები არ უნდა ემსახურებოდეთ მათ, რომელთაც კაბინეტური სახის მუშაობა სჭირდებათ. ამ პროექტს სახელობით კენჭისყრაზე დავაყენებთ და გატანის შემთხვევაში ბენზინისთვის გამოყოფილ 200 000 ლარს დავზოგავთ. როცა ვთვლი, რომ პროექტი კარგია, არ აქვს მნიშვნელობა, ვისგან იქნება წარმოდგენილი, მას ვუჭერ მხარს. მათ შორის უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ რამდენიმე პროექტს აქტიურად დავუჭირე მხარი. ჩემი დამოკიდებულება საქმისადმი არა ვინმეს ინტერესებიდან, არამედ საქმის სისწორიდან გამომდინარეობს.

— რა მოგწონთ, და რა არ მოგწონთ დღევანდელ სახელისუფლებო პოლიტიკაში.

— მომწონს ის, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, სხვა შემთხვევაში არანაირი შანსი არ მექნებოდა არც მე და არც სხვებს გამარჯვებისა, მომწონს ის, რომ სასამართლო გაადამიანურდა, და ბიზნესი პოლიტიკისგან გათავისუფლდა, ყოველ შემთხვევაში დღეს ასე ჩანს.

არ მომწონს ის, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან ადრე წავიდა. მეც და საზოგადოების უმრავლესობამ სწორედ მას დავუჭირეთ მხარი. მართვის სადავეები ხელიდან რომ არ გაეშვა, ახლა ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა.

არ მომწონს საკადრო პოლიტიკა. ახალგაზრდები მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არ უნდა ინიშნებოდნენ. მათ ამისთვის შესაბამისი გამოცდილება სჭირდებათ, რაც დაბალი საფეხურებიდან იწყება. ისინი ასაკის გამო არ შეიძლება სკამის ხიბლში არ ჩავარდნენ და ვარდებიან კიდეც. ეს დანაშაულია და დიდ პრობლემებს ქმნის.

არ მომწონს პრიორიტეტად ე.წ. პრესტიჟული უბნების განვითარების დასახვა, მაშინ, როცა სხვა უბნებში უფრო მძიმე მდგომარეობაა.

არ მომწონს ძველი მემკვიდრეობიდან სოციალურ სფეროში არსებული ერთჯერადი ხმაურიანი დახმარებები. რასაც ადამიანები მიჩვეულნი არიან. ეს პრობლემიდან გაქცევაა და მდგომარეობას არ აუმჯობესებს. დახმარებების სხვა ფორმები უნდა არსებობდეს. თუნდაც მუნიციპალური აფთიაქები, მშენებლობებში სოციალური პაკეტის გათვალისწინება და ა.შ. მაგრამ ყოველივე ეს არ უნდა გახდეს კორუფციის წყარო და ყველაფერი სამართლიანად უნდა გაითვალოს.

ჩვენი ყველაზე დიდი მტერი უცხოეთი კი არა, ჩვენი სიღარიბეა, ყველაზე დიდი პრობლემა კი ის, რომ არ გვაქვს გრძელვადიანი სწორი ხედვა მთავრობა ცოტა უნდა მიდგეს, მოდგეს.

— თქვენ შეწყალების კომისიაში იყავით, გქონდათ, ან გაქვთ თუ არა წინააღმდეგობა საკუთარ გადაწყვეტილებებთან.

— ძალიან მძიმე იყო თითოეული საქმის შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება. რადგან წინა ხელისუფლებას სამი სიტყვით შეკერილი საქმეები ჰქონდა და ძნელი გასარჩევი იყო მართლა დამნაშავის შეწყალება გვიწევდა თუ უდანაშაულო ადამიანისა. არ შეიძლება ადამიანს არ მისცე შანსი.

— თვლით თუ არა, რომ ყოფილ დამნაშავეთა და პრობაციონერთა რესოციალიზაციაზე ბევრს საუბრობენ, რეალურად კი ნაკლები კეთდება და მათი მთავარი პრობლემა დასაქმებაა?

— რა თქმა უნდა. ამაზე არასამთავრობოებიც მუშაობენ, იუსტიციის სამინისტროსაც აქვს პროექტი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

— რას ფიქრობთ დღეს გახმაურებულ კვოტირების თემაზე - ქალები პოლიტიკაში მეტად და აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი.

— ძლიერ, აქტიურ ქალს მივესალმები პოლიტიკაში. თუ ქალს ამისი სურვილი აქვს, არ მგონია, რომ ქალს ამაში ვინმე ხელს უშლიდეს. ხელოვნური კვოტირების თემას არ ვეთანხმები, რადგან ზოგიერთი ქალის ყოფნას საკრებულოში, რომ არ იყოს, უკეთესია.

— თქვენ სუსტ ქალებზე ამახვილებთ ყურადღებას, ასეთი მამაკაცები არ გყავთ საკრებულოში?

— ეს საკმაოდ ბევრია - ამბობს ღიმილით.

— ვერ დაგეთანხმებით, როცა ამბობთ, რომ ქალს ხელს არავინ უშლის, თქვენთან ინტერვიუს დროს თქვენთვის არ მიკითხავს, როგორ უთავსებთ ერთმანეთს აქტიურ საზოგადოებრივ და ოჯახურ საქმიანობას ერთმანეთს, ქალს ამ კითხვას ვუსვამთ, და ეს ბუნებრივიცაა, რადგან უმეტეს შემთხვევაში ოჯახის საქმის დიდ წილს სწორედ ქალი ასრულებს. საზოგადოებაც მეტად მომთხოვნია პოლიტიკოს ქალთა მიმართ და მათ მიერ განხორციელებული საქმეებიც მეტად არის განსჯის საგანი, ვიდრე მამაკაცებისა.

— არ ვიცი სხვაგან რა ხდება, პირადად მე შრომაც გამინაწილებია, სახლიც დამილაგებია და ბავშვებიც გამომიყვანია სკოლიდან.

— გმადლობთ, გისურვებთ წარმატებებს.

მიმართავს თუ არა მიხეილ გოგოტიშვილი სასამართლოს

გაზეთი „ალიონი“

უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა უფრო ცხარე იყო, ვიდრე თავად საკრებულოს სხდომა, რადგანაც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ინიციატივას, საკრებულოს ხელმძღვანელებს, კომისიისა და ფრაქციების თავმჯდომარეებს არ მიეღოთ ხელფასს გარდა დამატებით სადეპუტატო უფლებამოვალეობისათვის გამოყოფილი ხარჯების თანხა—500 ლარი, ერთგვარი უკმაყოფილება მოჰყვა თავად ფრაქციის შიგნით, მაგრამ საკრებულოს სხდომაზე ეს აღარ იგრძნობოდა.

—ჩვენ არჩევნებისას ხალხს შევპირდით, რომ წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ჩვენს თავს არ მივცემდით ფუფუნების საშუალებას და ქამრებს შემოვიჭერდით—განაცხადა ბიუროს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი კვერღელიძემ.**

როგორც ბიუროს სხდომაზე, ისე საკრებულოზეც ამ საკითხის წინააღმდეგი ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე **მიხეილ გოგოტიშვილი** გამოვიდა.

—მე მივესალმები, თუკი თქვენ უარს აცხადებთ სადეპუტატო მოვალეობის შესასრულებლად კუთვნილი ანაზღაურების მიღებაზე. თქვენ ხელფასის მიღებაზეც შეგიძლიათ უარი განაცხადოთ. მაგრამ აქ არის დეპუტატები, სხვა სამსახურებში მუშაობენ და აქაც მიიღებენ ანაზღაურებას. თქვენ მე ნუ შემზღუდავთ მივიღო ის, რაც კანონითაა გათვალისწინებული. მე პარტიული სიით ვარ არჩეული და მაჟორიტარებისაგან განსხვავებით მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში მომიწევს მისვლა. თუ არ გაითვალისწინებთ ჩემს მოსაზრებას, მომიწევს სასამართლოში მისვლა.

საკრებულოს დებულებაში მე-8 მუხლის ამოღებას ხმა არ მისცეს მიხეილ გოგოტიშვილმა, დავით მჟავანაძემ, ნიკა დობორჯგინიძემ, ლელა ნაცვალაძემ, მერაბ ბერიძემ.

ოზურგეთის №2 საბავშვო ბაღი გაიხსნა

ქეთი ბოლქვაძე, სალომე ცომაია

1 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა ქ. ოზურგეთის №2 საბავშვო ბაღი. გახსნას ესწრებოდნენ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ალექსანდრე ყველაშვილი.

როგორც ბაღის მენეჯერმა მედეა ტრაპაიძემ გვითხრა, ბაღი იწყება დილის 9 საათზე და მთავრდება საღამოს 6 საათზე. ბაღში არის 130 ბავშვი. ჩვენი იქ ყოფნის დღეს იმყოფება 90. ბაღის აღსაზრდელები სამ ასაკობრივ ჯგუფადაა დაყოფილი და იანვრიდან კიდევ ერთი ჯგუფის დამატებას აპირებენ. ბავშვებს აქვთ სამჯერადი კვება. 2-3 წლამდე ბავშვებს შუადღით აძინებენ. ბავშვებს აქვთ ბევრი სხვადასხვა გასართობი ნივთი, განსაკუთრებით ხატვა აინტერესებთ.

პედაგოგებმა ასევე გვითხრეს, რომ ბაღის წინ, ნაძვის ხეზე ველურ ფუტკრებს (ე.წ. „ბაზებს“) აქვთ ბუდე და საშიშროებას წარმოადგენენ ბავშვებისათვის. ისინი შესაბამის სამსახურებს დახმარებას სთხოვენ.

პროფესიული სახელდების დღეს გილოცავთ!

პრესსამსახური **ნინო კუკულაძე.**

დაჯილდოებულთა შორის არიან: **ნათელა სურგულაძე (№1 საჯარო სკოლა); ლიანა იმედაშვილი, ლამზირა გიორგაძე, რუსუდან ბაქანიძე, ზაირა გოგიბერიძე (№2 საჯარო სკოლა); ეთერ აბაშიძე (№5 საჯარო სკოლა); დარეჯან შევარდნაძე (ასკანის სკოლა); ნანული დარჩია (ბაილეთის სკოლა); ეთერ გარაყანიძე (მელექედურის სკოლა); ლილი ჯაფარიძე (დვაბზუს სკოლა); ვასილ ქინქლაძე, აზა ქინქლაძე (ზემო ნატანების სკოლა); ზაირა მარგალიტაძე, ნოდარ დონაძე (თხინვალის სკოლა), მარგალიტა თოიძე, მერი კეჭაყმაძე (კვირიკეთის სკოლა); ასლან ჭაღალიძე, ანა გოგიბერიძე, ნანი ჩანჩიბაძე (ლაითურის სკოლა); ლონგინოზ ურუშაძე (ლიხაურის სკოლა); იზოლდა ჩხაიძე, ლამზირი ჯაფარიძე (მაკვანეთის სკოლა); ლელი მამულაიშვილი, ციური ბაბილოძე (მერიის სკოლა); ლილი, მერი ორაგველიძე, ავთანდილ ბერიძე (ნასაკირალის სკოლა); ლამარა დოლიძე-თოიძე, ნელი ცერცვაძე (ქვ. ნატანების სკოლა); ლალა ვასაძე (ხრიალეთის სკოლა); ნელი ოკუჯავა (ჯუმათის სკოლა).**

—58 წელია სკოლაში ვმუშაობ. ჩემმა აღზრდილმა 300-ზე მეტმა მოსწავლემ გაიმარჯვა სხვადასხვა შემოქმედებით ტურებსა და კონკურსებში. შვილი დამელუპა, მაგრამ ჩემს მოსწავლეებს ვერ ვუღალატებ —თქვა იზოლდა ჩხაიძემ.

—63 წელია სკოლაში ვმუშაობ. სოფ. ჭანიეთიდან დავდივარ ყოველდღიურად მერიის სკოლაში..

—მომავალი წლის თებერვალში 80 წლის ვიქნები. როცა სოფ. ღორჯომში ვსწავლობდი ცხემლისხიდელი აკაკი მემარნიშვილი იყო ჩვენი სკოლის დირექტორი, მეუღლე ეთერი ქიმიას გვასწავლიდა. ბავშვობაში ჩამომიყალიბდა მათი მეშვეობით გურულებისადმი სიყვარული და 45 წელია სკოლაში ვმუშაობ.

როგორც თხინვალის სკოლის პედაგოგმა ნოდარ დონაძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა, მთავარი არა საჩუქარი, არამედ ის ყურადღებაა, რაც პედაგოგებმა თემებისა და ქალაქის ხელმძღვანელებიდან იგრძნეს.

ღონისძიების დასრულების შემდეგ ლელა იმედაშვილი და როზა გოგუაძე სოფ. ჭანიეთში ამაგდარ პედაგოგს სვეტლანა საჯაიას ესტუმრნენ.

პრემიერ-მინისტრმა მუსლიმ მოსახლეობას ყურბან ბაირამის დღესასწაული მიულოცა

4 ოქტომბერს საქართველოსპრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თბილისში, აბანოთუბანში მდებარე მეჩეთში მუსლიმების ლოცვას დაესწრო.

–„მინდა მივულოცო ყველა მუსლიმანს და თანამოქალაქეს. დღეს არის მნიშვნელოვანი დღესასწაული. ეს არის დაკავშირებული გამარჯვებასთან, იმედთან, კეთილდღეობასთან და მშვიდობასთან. ჩვენთვის მთავარია, კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ყველას, როგორ შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ და თანავცხოვრობთ ჩვენ, ქართველი მუსლიმები, ქართველი ქრისტიანები. საქართველო არის უნიკალური ადგილი, ყოველთვის ვამაყობთ ჩვენი ტოლერანტობით, ჩვენი მრავალფეროვანი კულტურული ურთიერთობებითა და თანაცხოვრებით. ეს არის უნიკალური", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია ულოცავს „ალიონის“ ყველა მუსლიმ მკითხველს ამ დღესასწაულს და გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს დაბა ნასაკირალის ჯამეს იმამთან, შაქრო მეკეიძესთან.

„ყურანში ერთი ანბანიც არ არის ქრისტიანის და მუსლიმის დაპირისპირებაზე“



ეს სიტყვები დაბა ნასაკირალის იმამს შაქრო მეკეიძეს ეკუთვნის. მას ბახმაროს საზაფხულო სადოვრებზე, ფაფარას დასახლებაში შევხვდით და პატივისცემის ნიშნად მაჰმადიანთა სამლოცველოში, ჯამეში მიგვიწვია.

ჯამე ხისაა და კარგად არის მოწყობილი. მასში თავისუფლად დაეტევა საზაფხულო დასახლების ყველა მორწმუნე. შეყვანილია ელექტროხაზები და რადიოფიცირებულია.

–შარშან წმინდა ადგილებში, მექასა და მედინაში ვიყავი. მორწმუნე კაცი ცუდს არ გააკეთებს. ყურანში ერთი ანბანიც არ არის ქრისტიანის და მუსლიმის დაპირისპირებაზე. ამას ისინი აკეთებენ, რომელთაც ნამდვილი რწმენა არ აქვთ. ამ ბოლო დროს ვაჰაბიტური მოძრაობის გააქტიურება შეიმჩნევა. ვაჰაბისტები ძირითადად ახალგაზრდები არიან და ისინი ჩვენთან სამლოცველოში არ დადიან. სამწუხაროა, რომ ასეთები ნასაკირალშიც არიან. ჩემთვის ძალიან .მიუღებელი იყო ის, რაც მოხდა ქობულეთში. მაგრამ ვფიქრობ, ეს ადამიანთა მცირე ჯგუფის ნამოქმედარია–გვითხრა იმამმა.

სოფ. ვაკიჯვარში ბორის სიამაშვილის სახლი დაიმეწყრა

გაზეთი „ალიონი“

სოფ. თავ ვაკიჯვარში ბორის სიამაშვილის სახლი დაიმეწყრა. დამეწყრილი ოჯახი სპეციალისტებთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ მოინახულა.

–დილით ადრე ვნახეთ, რომ სახლის უკან მეწყერი წამოსულიყო და დამეწყვრის პროცესი კვლავ მიმდინარეობდა. მიწის ბზარები სახლამდე აღწევს–გვითხრა ოჯახის დიასახლისმა.

მუნიციპალიტეტის სპეციალისტებმა მდგომარეობა საგანგაშოდ მიიჩნიეს და ოჯახს ურჩიეს სახლის დაცლა.

–ჩვენ ყოველნაირად დაგეხმარებით. პირველ რიგში უნდა მოხდეს თქვენი სხვა ადგილას დაბინავება. ვფიქრობ, აქ გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება შედეგს არ გამოიღებს და ალტერნატიული ფართის მოძიება მოგვიწევს–აღნიშნა ჭანუყვაძემ.

–სოფლის პროგრამის ფარგლებში ბეტონის გზა დაგვიგეს, რომ აღმართში ტრანსპორტს შეძლებოდა ამოსვლა. მთელი ცხოვრება აქ გავატარე და მსგავსი არასდროს მომხდარა ძლიერი წვიმა იყო და მთიდან წამოსული ყველა წყალი აქ მოგროვდა.ეზო ხედავთ როგორ დაიმეწყრა.ახლა საცხოვრისის დატოვება გვიწევს–გვითხრა ბორის სიამაშვილმა (უმცროსმა).

ბორის სიამაშვილი (უფროსი) ტყის დიდი ქომაგი და ცნობილი მონადირე იყო. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იგი ფეხით ოზურგეთიდან თბილისში სარეკორდო დროში ჩავიდა.

ვახტანგ სიორიძეს სამართლიანობისათვის მებრძოლის საპატიო სიგელი გადაეცა

2011 წლის 21-26 მაისს, „სახალხო კრების“ მიერ ქ. ბათუმში მრავალათასიანი მიტინგი მოეწყო. ამ აქციაში ასეულობით ადამიანი მონაწილეობდა გურიიდან, მათ შორის ჟურნალისტებიც. შემდეგ მონაწილეებმა გადაინაცვლეს აჭარის ტელევიზიისაკენ. ითხოვდნენ აჭარის ტელევიზიას სწორი ინფორმაცია მიეწოდებინა ხალხისათვის.

22 მაისს, დაიწყეს აქციის დარბევა და დაიჭირეს აქტივისტები: გოჩა მუხაშავრია, დავით ფარტენაძე, ცოტნე ანანიძე, ხვიჩა გამარჯობაძე, ანზორ სოლომონიძე, დიმიტრი ჭეიშვილი და ოზურგეთელი ვახტანგ სიორიძე... ისინი 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გათავისუფლდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან. გარდა ვახტანგ სიორიძისა, მათ პოლიტპატიმრების სტატუსი მიანიჭეს, თუმცა ნასამართლობა არცერთს არ მოხსნია.

ახლახან ზემოთდასახელებული პირები საზოგადოებრივმა მოძრაობამ „2011 წლის 26 მაისი, მამული, ენა, სარწმუნეობა,“ მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ახვლედიანის სახელობის საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

როგორც ვახტანგ სიორიძემ გაზეთ „ალიონთან“ განაცხადა მის მეგობრებთან ერთად საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს მიმართავს პოლიტპატიმრის სტატუსის მოხსნისათვის.

სოფელ დვაბზუში მომხდარი ტრაგედიის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში მომხდარი მკვლელობის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა.

სამინისტროს ცნობით, შსს-მ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა. შსს-ს გურიის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს და გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული თემურ რ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში, ეჭვიანობის ნიადაგზე, საკუთარ მეუღლეს - 1985 წელს დაბადებულ ნატალია რ-ს თავის არეში ნაჯახით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ქალბატონი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა თემურ რ. სოფელ დვაბზუში, მომხდარიდან რამდენიმე წუთში, იმ დროს დააკავეს, როდესაც ის მიმალვას ცდილობდა. დანაშაულის ჩადენის იარაღი - ნაჯახი შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ბრალდებით მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლი).

შესაძლებელი იყო თუ არა მომხდარი ტრაგედიის თავიდან აცილება, ამ კითხვით მივმართეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე **ქეთევან ხიდაშელს:**

შეიძლება ამ კუთხით საუბარი დღეს უკვე დაგვიანებულია, მაგრამ ხომ შეიძლება პოტენციური 30-ე მსხვერპლი ქალის დაცვა. ჩვენ ამ საკითხზე მომუშავე ორგანიზაცია მომართვის შემთხვევაში ბოლომდე გვერდით ვუდგავართ მსხვერპლებს, კონკრეტულად ოჯახში ძალადობაზე ჩვენ არც გრანტი გვაქვს და არც რაიმე ფინანსური ინტერესი, ჩვენ ვიცავთ ქალთა უფლებებს და ჩვენი ორგანიზაციის ყველა წევრი თავს ვალდებულად ვთვლით ქალებს დავეხმაროთ იმ პროცედურების გავლაში, რაც თან ახლავს ქალის მსხვეპლად აღიარებას.

ადგილზე ხშირად ვაწყდებით სირთულეებს, მაგრამ ჩვენ მარტო არ ვიბრძვით, ჩვენს გვერდით არიან ორგანიზაციები: ქალთა ფონდი „ტასო“, ქალთა ფონდი საქართველოში, გაეროს ქალთა ფონდი, ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელი, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, საფარი, კარალეთის ქალთა სოლიდარობის ცენტრი, სოფლის ქალები ქალთა უფლებებისთვის,რომლებიც ასევე ოჯახში ძალადობის ექსპერტი ორგანიზაციები არიან.

ბოლოს ს. დვაბზუში მომხდარი ტრაგედია დასტურია იმისა, რომ საზოგადოება მაინც გულგრილია ოჯახში ძალადობის მიმართ. მხოლოდ მაშინ იღებს ხმას , თუ ეს მის ახლობელს ან ოჯახის წევს ეხება. პოლიცია კი მიუხედავად არაერთგზის გადამზადებისა და სწავლებებისა გამოძახების დროს არ იყენებს შემაკავებელ ორდერს. კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ ყოველწლიურად იხვეწება, იცვლება, სხვადასხვა ორგანიზაციები და მათ შორის ჩვენც ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ქსელს ვაწვდით რთულ ქეისებს, სწორედ ამ ქეისების გაანალიზების საფუძველზე შედის ცვლილებები კანონში. საზოგადოება ინფორმირებულია, ხშირად გადის ტელევიზიით სოციალური კლიპები ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის, ტარდება უამრავი კამპანია, მაგრამ შედეგი მაინც არ გვაქვს. ხშირად დავფიქრებულვართ, კიდევ რა ზომების გატარებაა საჭირო? ამაზე პასუხი მხოლოდ ერთია.საზოგადოება მოძალადის მიმართ შემწყნარებელია, რის გამოც ის თავს გრძნობს კომფორტულად. მასმედიაში გაშუქებული ფაქტები არ იძლევა ანალიზისა და განსჯის განცდას. პირიქით თითქოს მკვლელობის გამართლებას ეძებენ. ამ კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით რამოდენიმე მედიის საშუალება დამიკავშირდა, ყველა ეძებდა მიზეზს, რა გახდა მკვლელობის კონკრეტული მიზეზი, რომელსაც ქალის ქცევაში ეძებენ. ასეთი გაშუქება პირიქით მოძალადეს აქეზებს ჩაიდინოს იგივე, „ქალი იყო უწესო“, „ქალს ვიღაც ყავდა“, „ქალი ბავშვებს არ პატრონობდა“, ეს ის ჩამონათვალია, რისთვისაც სავარაუდოდ კლავენ ქალებს, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ მოძალადეს მიზეზი არ სჭირდება ქალზე ხელის ასაწევად, ესეც ხომ ფაქტია რომ ელემენტარული საოჯახო საქმის შესრულების ხარისხის გამო შეიძლება დაასახიჩრონ მეუღლე.... ასე რომ, მიზეზები მოძალადეს არ დაელევა.

აქვე მინდა აღვნიშნო, ოჯახში ძალადობის დროს საერთოდ უგულვებელყოფილია ბავშვების საკითხი, ბავშვები, რომლებიც ხედავენ და მოწმენი ხდებიან საშინელი ფაქტების, მათზე არავინ ზრუნავს. ერთადერთი მექანიზმი სოციალური სააგენტოს სოც. მუშაკია, რომელიც რთულ კრიზისულ სიტუაციაში ოჯახს სთავაზობს ბავშვების მინდობით აღზრდაში გადაყვანას. ბავშვების გადაყვანა, მათთვის კიდევ ერთი სტრესის მიყენების საფუძველს იძლევა. რეგიონებში, კერძოდ სოციალურ სამსახურებში გააუქმეს ფსიქოლოგის შტატი, რაც ვფიქრობთ არასწორი გადაწყვეტილება იყო. ოჯახში ძალადობის დროს პოლიციის რეაგირების შემდეგ აუცილებელი უნდა იყოს ოჯახზე მონიტორინგი, სადაც მნიშვნელოვანია მოძალადეს დააკვირდნენ, შეისწავლონ ქალისა და ბავშვების მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ მოძალადის იზოლირება.

ოჯახში ძალადობის კანონის ამოქმედებას თან უნდა მოჰყოლოდა მსხვერპლისა და მოძალადის ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამები, რაც არ გაკეთდა, თუმცა მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოძალადის ფსიქოტიპი ძნელად იცვლება, რეაბილიტაციის პროგრამის ამუშავებამ ძალიან ცოტას ქცევა თუ შეცვალა.

ახლახანს კანონში შევიდა ცვლილება, მიუხედავად იმისა თუ ვის სახელზეა დარეგისტრირებული უძრავი ქონება, ძალადობის შემთხვევაში ხდება მოძალადის იზოლირება და მსხვერპლთან დაშორიშორება. მთავარია გამოძახებაზე მისულ პოლიციას ჰქონდეს სიტუაციის ადეკვატური შეფასების უნარი და სურვილი. ქალთა ბოლო 2 მკვლელობის შემთხვევაში მკვლელობამდე რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა პოლიციის გამოძახებას. გვაქვს ქეისი, სადაც გამოძახებაზე მისული პოლიცია მსხვერპლს დასცინოდა, აბუჩად იგდებდა. ერთიდაიგივე ტექსტი, „აბა ჩვენ კი გვინდა დავიჭიროთ, მაგრამ თქვენ ეს არ გინდათ...“ ეუბნება პოლიცია ქალებს. დაჭერა ხომ არ არის აქ აუცილებელი, მთავარია გამოიყენონ შემაკავებელი ორდერები და ქალებს ექნებათ სტატუსი, თუ მათ დაცვას თავად ვერ ახერხებენ, ჩვენ მივხედავთ, უფლებადამცველი ორგანიზაციები.

საქართველოს პირველობა კლუბებს შორის ჭადრაკში დასრულდა

ნუგზარ ასათიანი

საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი ჭადრაკში პირველად გაიმართა და მას დაბა ურეკში, სასტუმრო „კოლხიდა“ მასპინძლობდა.

ჩემპიონატი 26 სექტემბერს გაიხსნა და იგი საზეიმოდ დაიხურა 4 ოქტომბერს.

ჩემპიონატში საქართველოს დედაქალაქის და რეგიონების 8 გუნდი მონაწილეობდა. ამ გუნდებში გამოდიოდნენ საერთაშორისო გროსმაისტერები, ოლომპიური ჩემპიონები და სხვა ტიტულოვანი მოჭადრაკეები ბაადურ ჯობავა, ნინო ხურციძე, ნატო მელია, ბელა ხოტენაშვილი და სხვები.

რვა გუნდს შორის იყო „გურიაც,“ რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: გურიის ექს-ჩემპიონი მინდია ჩხიკვიშვილი, ნიკოლოზ ჩხეიძე, აკაკი შალამბერიძე (თბილისი), ნატო იმნაძე (18 წლის) და 13 წლის მიშიკო ქურიძე (ოზურგეთი).

ოზურგეთლებმა ტურნირზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მათ დაამარცხეს „ჯორი“ და „სამეგრელო“ (4:1, 3,5:3:1,5) დამარცხდნენ სხვა გაცილებით ძლიერ კლუბებთან და 1 მე-6 ადგილი დაიკავეს.

ტურნირზე განსაკუთრებით კარგად იასპარეზა აჭარის საჭადრაკო კლუბმა „ნონამ.“ მათ ხუთი შეხვედრა მოიგეს, ორი საყაიმო ანგარიშით დაამთავრეს, 12 გუნდური ქულა დაგროვეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. 10-10 ქულით II-III ადგილები გაიყვეს „რუსთავმა“ და „ქართლმა.“ მოეთხე 9 ქულით „ქუთაისი“ იყო, მეხუთე 8 ქულით „თბილისი.“, „გურიამ“ 4 გუნდური ქულა აიღო, ხოლო VII-VIII ადგილებზე გასულმა „ჯორმა“ და „სამეგრელომ“ შესაბამისად 2 და ერთი ქულა.

მოეწყო გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე გია გიორგაძემ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ გამარჯვებული გუნდების მოჭადრაკეებს შესაბამისი სინჯის მედლები და დიპლომები გადასცეს.

ტურნირზე დაწესებული იყო ფულადი ჯილდოებიც. 15 ათასი ლარი გადაეცა კლუბ „ნონას;“ 10 ათასი— „რუსთავს;“ 5 ათასი— „ქართლს.“

როგორც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე გია გიორგაძემ გაზეთ „ალიონთან“ თქვა, კლუბ „ნონას“ გამარჯვება მოულოდნელობა არ იყო, რადგან ეს კლუბი ევროპის რეგიონების საკლუბო პირველობაზე წარმატებით გამოვიდა. ყველა პირობა იყო შექმნილი ტურნირის ნორმალურ, მშვიდ გარემოში ჩატარებისთვის, რაშიდაც დიდი წვლილი შეიტანა სასტუმრო „კოლხიდას“ დირექციამ.

ჩვენს კითხვაზე, თუ რა შეფასებას აძლევს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია გურიაში ჭადრაკის განვითარებას, გია გიორგაძემ გვითხრა, ფედერაცია ხედავს, რომ ადგილობრივი ჭადრაკის ფედერაცია (აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ანდღულაძე) რეგულარულად ატარებს მუნიციპალიტეტის და რეგიონის ჩემპიონატებს, სხვადასხვა ტურნირებს. თუ როგორ დაეხმარება მუნიციპალიტეტები საჭადრაკო კლუბებს,. ჩვენც ამის ადეკვატურები ვიქნებით, შესაბამისად ფედერაციიდანაც წამოვა დახმარება.

„გურია“ ამჟამად საუკეთესო ხუთეულში აპირებს ადგილის დამკვიდრებას

საქართველოს უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ლანჩხუთის „გურია“ ამჟამად სასტუმრო „კოლხიდაში“ გადის წვრთნას და დასვენებას. აქ ჩამოდიან ლანჩხუთში შეხვედრის წინ სხვა გუნდებიც. ჩვენ ამ გუნდის მწვრთნელს **გია გოგუას** ვესაუბრეთ:

— „საუკეთესო პირობები შეგვიქმნა სასტუმრო „კოლხიდაში“ მისმა მეპატრონემ ამირან ჩხაიძემ. ფაქტიურად „კოლხიდა“ „გურიას“ ბაზის როლს ასრულებს. აქ ვვარჯოშობთ და ვცხოვრობთ.

—რა მდგომარეობაა ამჟამად „გურიაში?“

—როგორც იცით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდებს ნაწილობრივ აფინანსებს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტიც მნიშვნელოვნად ეხმარება გუნდს. შედეგიც არ გვაქვს ცუდი. 6 ტურის შემდეგ (2 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება) 10 ქულა გვაქვს. თუ ცხინვალის „სპარტაკს“ მოვუგეთ, ხუთეულში დავმკვიდრდებით.

—თქვენ რა ფუნქციას ასრულებთ?

— გუნდის მწვრთნელი ვარ. ძირითადად მეკარეებს ვავარჯიშებ. კოლექტიურად ვიღწვით, რომ გუნდს კარგი შედეგი ჰქონდეს.“

***

ლანჩხუთის „გურიამ“ მე-7 ტურში შინ, ცხინვალის „სპარტაკთან“ ფრე 1:1 ითამაშა.

ზაურ ბურჭულაძის მოსაგონარი

უკვე ერთი ტკივილიანი წელიწადი გავიდა უშენოდ ზაურ. როგორ გიყვარდით ყველა . გვიჭირს იმაზე შეგუება, რომ ჩვენთან აღარ ხარ. გვენატრება შენი საუბარი, დარიგება, მზრუნველობაც, ზოგჯერ გადაჭარბებულიც კი. გვეცოდები და გვენანები, რომ შენი ჯანმრთელობისათვის არასოდეს იცლიდი, მხოლოდ შვილებზე, ოჯახზე ფიქრით ათენებდი და აღამებდი. მთელი ცხოვრება შრომასა და სიკეთის კეთებაში გაატარე. სპეტაკი და კაცური კაცის ცხოვრებით იცხოვრე . მსუბუქი იყოს შენთვის ამქვეყნიური განსასვენებელი. უფალმა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

ოჯახი.

ქესკინ კიღურაძე



თითქოს გუშინ იყო ისე სწრაფად გაირბინა შენი გარდაცვალებიდან ამ ორმოცმა დღემ ჩვენო ქესკინ. გაუსაძლისია შენი წასვლით მოყენებული ტკივილი.

მშობლიურმა მიწამ ჩაგიხუტა და დაადექი ზეციური სასუფევლის გზას, დასრულდა ერთი ღირსეული სიცოცხლე. ყველა ვინც კი გიცნობდა გულისტკივილით და სითბოთი გიხსენებს. იყავი ძალიან კეთილი, სტუმართმოყვარე, გამორჩეული მეგობრებშიც და საგვარეულოშიც.

დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს რასაც უშენობა ჰქვია. ზეციური სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა შენს ლამაზ სულს, საუკუნოდ იყოს ხსენება შენი. მფარველ ანგელოზად მოევლინე შენს დანატოვარ ოჯახს.

ძმა **ლერი კიღურაძე**

გარდაიცვალა **თენგიზ (თენგულა) თოიძე.** გამოსვენება სამშაბათს, 7 ოქტომბერს. დაკრძალვა სოფ. ლიხაურში.

ილო, კახა, დოდო რუსიძეები ოჯახებით იუწყებიან **თალიკო პუხლოვი-მჭავანაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს გიორგი თოიძეს მამის, **თენგიზ თოიძის** გარდაცვალების გამო.

მეფუტკრეთა დასახმარებლად!

როგორ დავაზამთროთ ფუტკარი

ზამთარი ყველაზე რთული პერიოდია ფუტკრისათვის. ამ დროს ფუტკრის ოჯახში წყდება აქტიური ცხოველქმედება, ფუტკარი გუნდად იკვრება და საკვების მინიმალური ხარჯვით ინარჩუნებს არსებობისათვის საჭირო ტემპერატურასა და ტენიანობას. მეფუტკრის მიერ დაშვებული შეცდომები ზამთარში ძნელად გამოსწორებადია და ამიტომაც სეზონის შესაბამისად ყველა ის აუცილებელი სეზონური სამუშაო პროცესები დროულად და ხარისხიანად უნდა იქნეს შესრულებული.

ფუტკრის ოჯახის ბუდეების შედგენისას ვხსნით საკუჭნაოებს და კორპუსებს.

გამოზამთრებისათვის ფუტკრის ოჯახის ბუდეების შედგენას საჭიროა ყურადღება მიეცეს საკვების მარაგსა და ხარისხს. ასევე დედა ფუტკრის არსებობა და ხნოვანობა.

შემდეგ ფუტკრის ოჯახის ბუდის შუაგულში უნდა მოვთავსოთ კარგი ხარისხის თაფლიანი ფიჭები, სასურველია მუქიყავისფერი, რადგანაც ასეთი ფიჭები სითბოგაუმტარია.

ბუდის შუაგულში არ უნდა დავტოვოთ ჭეოთი გადატვირთული ფიჭა, რომელზეც თაფლი ცოტა იქნება, დარჩება ტისარივით და შეიძლება ოჯახი ორად გაყოს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ფუტკარს არ დავუტოვოთ დაუსრულებელი (ნახევრად აშენებული), დეფორმირებული და სამამლიანი ფიჭები, რომელიც გამოწვეულია უხარისხო (ფალსიფიცირებული), არასტანდარტული (თხელი), ფიჭებით, რომელიც ვერ უძლებს მინიმალურ ტემპერატურას და ზედ მსხდომი ფუტკრის დატვირთვას, სიმძიმეს, იღვენთება და იშლება. ფუტკარი ხშირ შემთხვევაში, ასეთ ფიჭებს არ აშენებს, და მთლიანად შლის, თავიდან ახალს აშენებს. (ზოგჯერ სამამლე, დიდუჯრიან ფიჭებს, დროის მოგების მიზნით). ეს ძალიან მტკივნეული საკითხია და ამაზე ცალკე კონსულტაციები გვექნება.

ყურადსაღებია გამოზამთრებისათვის სწრაფი დაშაქრების უნარის მქონე თაფლი. ჩვენში ასეთ თაფლს სუროს ყვავილი იძლევა. ასევე საშიშია საზამთროდ მანანა თაფლი, რომელსაც ფუტკარი გვალვიან ამინდში იღებს. არსებობს ორგვარი მანანა თაფლი: მკვნარეული და ცხოველური. ბუდის შედგენისას თუ აღმოჩნდა დიდი ოდენობით თავლია თაფლი, ასეთი თაფლიანი ფიჭები ხარისხანი (სამარაგო) თაფლიანი ფიჭებით უნდა შევცვალოთ, ან გამოვწუროთ და მარაგი შევავსოთ სქელი სიროპით. (მაგ. 3 კგ.შაქარი, 2 ლ. წყალი). მანანა თაფლი ადამიანისათვის უვნებელია.

სუსტ ოჯახებს ვათბუნებთ ორმხრივად, ეი. ფუტკარს ვთავსებთ სკის შუაგულში. ორთავე მხრიდან ვუდგამთ ტიხარს და დასათბუნებელ ბალიშებს, როგორც ზემოდან ისე გვერდებიდან. ასევე აუცილებელია საიმედოდ იყოს დაცული მავნებლებისაგან და წყლისაგან, იყოს საიმედო სადგამებზე (გავუკეთოთსპეციალური სამაგრები თოვლისა და ქარისაგან დასაცავად). ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს საფუტკრე ადგილის შერჩევას და ფუტკრის ოჯახების განლაგებას.

მეფუტკრეობის, ამ უნიკალური დარგის რენტაბელობაზე და მის განვითარებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თუ არ ვიცნობთ ფუტკრის დაავადებებს და არ ვართ დაუჯლებული მათთან ბრძოლის ღონისძიებებს.

ამ ბოლო ხანს ფუტკრის დაავადებების საწინააღმდეგო მრავალი ახალი პრეპარატი გამოვიდა. პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ შემოთავაზებულ პრეპარატებს შემოწმება (გამოცდა) სჭირდება, რადგან სხვა ქვეყანაში გამოყენებული პრეპარატი ჩვენს პირობებში ხშირად მოულოდნელია ან სრულად არ ამართლებს. ამდენად, ბოლო გამოცდა, ლაბორატორია ჩვენ და ჩვენი ფუტკარია. ამიტომ პირველად სასურველია, ახალი პრეპარატი გაისინჯოს ერთეულ ოჯახებზე და არა კომპლექსურად, მთელ საფუტკრეში.

პრეპარატის შეძენის დროს ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული რეგისტრირებული და სერთიფიცირებულია თუ არა პრეპარატი.

შემოდგომით მკურნალობასა და პროფილაქტიკას ვატარებთ სიდამპლეებსა, ვარვატოზზე და ნოზემატოზზე არსებული პრეპარატებით არსებული წესისამებრ.

კარგად დაზამთრებული ფუტკრის ოჯახები ზამთრის პერიოდში დიდ მოვლა-პატრონობას არ მოითხოვს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ ამ პერიოდში მას ესაჭიროება სრული სიმშვიდე.

ჩვენ კი გავიღრმავოთ ცოდნა, რომელიც ყველაზე საუკეთესო საშუალებაა როგორც ჩვენი ფუტკრისთვის, ისე საკუთარი თავისთვის; შეეიძინოთ და დავამზადოთ ფუტკრის ინვენტარი; დავრგოთ და გავახაროთ თაფლოვანი მცენარეები და გავაჯანსაღოთ გარემო.

ჯანვერდი ცეცხლაძე
გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე.
ტელ. 599 21 43 44; 555 17 34 02.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე